ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№1

ქ. ქუთაისი

10 მარტი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მიქიაშვილი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
ირაკლი ავალიანი	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
მალხაზ ბასილაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	– ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის დმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით, ქალაქ ქუთაისში დავით აღმაშენებლის გამზირზე ფოლკლორის სასახლესთან, ფალიაშვილის ქუჩაზე ბავშვთა სამყაროსთან, დავით აღმაშენებლის გამზირისა და გ. ტაბიძის ქუჩის გადაკვეთაზე, ზ. გამსახურდიასა და გუგუნავას ქუჩების გადაკვეთაზე, წერეთლისა და მანდარიას ქუჩების გადაკვეთაზე, ირ. აბაშიძისა გამზირისა და შარტავას ქუჩის გადაკვეთაზე, ავტომშენებლისა და ბუკიას ქუჩების გადაკვეთზე, ნიკეას და ლომოურის ქუჩების გადაკვეთაზე შუქნიშნების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 7000 (შვიდი ათასი) ლარი) შედგენის შესახებ.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – ქალაქ ქუთაისში დავით აღმაშენებლის გამზირზე ფოლკლორის სასახლესთან, ფალიაშვილის ქუჩაზე ბავშვთა სამყაროსთან, დავით აღმაშენებლის გამზირისა და გ. ტაბიძის ქუჩის გადაკვეთაზე, ზ. გამსახურდიასა და გუგუნავას ქუჩების გადაკვეთაზე, წერეთლისა და მანდარიას ქუჩების გადაკვეთაზე, ირ. აბაშიძისა გამზირისა და შარტავას ქუჩის გადაკვეთაზე, ავტომშენებლისა და ბუკიას ქუჩების გადაკვეთზე, ნიკეას და ლომოურის ქუჩების გადაკვეთაზე შუქნიშნების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 7000 (შვიდი ათასი) ლარი) შედგენის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
კომისიის წევრებმა: მალხაზ ბასილაძემ და ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ, ქალაქ ქუთაისში დავით აღმაშენებლის გამზირზე ფოლკლორის სასახლესთან, ფალიაშვილის ქუჩაზე ბავშვთა სამყაროსთან, დავით აღმაშენებლის გამზირისა და გ. ტაბიძის ქუჩის გადაკვეთაზე, ზ. გამსახურდიასა და გუგუნავას ქუჩების გადაკვეთაზე, წერეთლისა და მანდარიას ქუჩების გადაკვეთაზე, ირ. აბაშიძისა გამზირისა და შარტავას ქუჩის გადაკვეთაზე, ავტომშენებლისა და ბუკიას ქუჩების გადაკვეთზე, ნიკეას და ლომოურის ქუჩების გადაკვეთაზე შუქნიშნების მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.
2. კონკურსი ჩატარდეს 2015 წლის 10 მარტს 12:00 საათზე.
3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადად განისაზღვროს 2015 წლის 10 მარტის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.
4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).
5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

მალხაზ ბასილაძე

ირაკლი გიორგაძე